რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№533/თ

„20“ ოქტომბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადზე მოწყობილი ხმის გამაძლიერებელი სისტემის გამოყენების შესახებ

2023 წლის ოქტომბრის თვეში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადზე მოეწყო ხმის გამაძლიერებელი სისტემა, რომლის საჭიროებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და ,,თ" ქვეპუნქტებით; საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს და მანდატურის სამსახურის მანდატურებს.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის (მის.: ქ. რუსთავი, ბოსტან - ქალაქის ქუჩა №6) მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლების სიმჭიდროვიდან გამომდინარე, აკრძალულია ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის საჭიროების გარეშე გამოყენება, რათა თავიდან იქნას აცილებული მომეტებული ხმაურით გამოწვეული ნეგატიური შედეგები და მოქალაქეთა შეწუხება.

3. დღის საათებში, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია, თუ

   ა) არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ პროცესზე გამოცხადებული მხარე (წარმომადგენელი) იმყოფება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე და მისი გამოცხადების მიუხედავად არ იძებნება სასამართლოს ფოიეში;

   ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის წინა, მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანა ჩერდება აკრძალულ ადგილას, კერძოდ: ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ ავტოსადგომზე; ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ეზოში შემოსასვლელი ჭიშკრის წინ;

გ) იქმნება საფრთხე ქ. რუსთავი, ბოსტან - ქალაქის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების.

4. დღის და ღამის საათებში, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია:

ა) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდარღვევის აღსაკვეთად;

ბ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის განსამუხტად;

გ) „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის დადგენის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საჯაროდ გახმოვანებისა და შეკრებასა ან მანიფესტაციაში მონაწილე პირთა ინფორმირების მიზნით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე